

05-104-2021
21 იანვარი 2021

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის
დეპარტამენტის უფროსს
ბ-ნ ბესიკ ქოჩიაშვილს

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“
აღმასრულებელი მდივნის
ბ-ნ კახახაზარაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის №2915/21 ბრძანების „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმგენილ 2020 წლის 01 სექტემბრიდან 2020 წლის 13 ნოემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ საარჩევნო ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორულ დასკვნა არ იყო გაცემული სერთიფიცირებული აუდიტორის მიერ.

წარმოგიდგენთ, განახლებულ აუდიტორულ დასკვნას, გაცემულს უფლებამოსილი აუდიტორის მიერ.

დანართი 2 (ორი)ფურცელი

პატივისცემით,

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“
აღმასრულებელი მდივანი

კახა ხაზარაძე



აუდიტორული დასკვნა

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსათვის“ 2020 წლის 1 სექტემბრიდან 13 ნოემბრის (ჩათვლით) პერიოდის საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების ფინანსური ანგარიშის შესახებ

ანგარიში მომზადებულია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსათვის“ (შემდგომში - „პარტია“) და აუდიტორ ი/მ ნინო სამხარაძესთან ს/ნ 01019009848 (შემდგომში - ინდ.საწარმოს) შორის 2020 წლის 10 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. ხელშეკრულება ითვალისწინებდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის №2915/21 ბრძანების („პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“) მოთხოვნით შედგენილი, 2020 წლის 1 სექტემბრიდან 13 ნოემბრის (ჩათვლით) პერიოდის ფინანსური ანგარიშის (თანდართული ფორმებით) აუდიტს, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნებთან.

„პარტია“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწვეტილებით NP19000044/0-1 28.01.2020 და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი - 415030264. მის ქ.თბილისი ცენტრალური ვაგზალი, ნაკ 05/107 თავჯდომარე მამუკა ხაზარაძე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ

ანგარიშგებასთან დაკავშირებით

„პარტიის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშის მომზადებასა და მის წარდგენაზე - რაც უნდა შესაბამებოდეს „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის №2915/21 ბრძანებით დამტკიცებულ ფინანსური ანგარიშის ფორმებისა და მათი შევსების წესს და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტის მოთხოვნებს. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. მითითებული პასუხისმგებლობა მოიცავს აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას, ასევე შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ინდ/ საწარმოს პასუხისმგებლობა, აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშზე. აუდიტი წარიმართა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ანგარიშგება არსებით უზუსტობას. აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს წარმოადგენს დასკვნის გასაცემად.

დასკვნითი აზრები

ჩვენი აზრით, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსათვის“ მიერ წარმოდგენილი 2020 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 13 ნოემბრის (ჩათვლით) პერიოდის (საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების) ფინანსური ანგარიში არ შეიცავს არსებით უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს „პარტიის“ ფინანსურ მდგომარეობას, რომელიც მომზადებულია „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის №2915/21 ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

აუდიტი SARAS-A 425114 ი/მ ნინო სამხარაძე

აუდიტი საჯარო სექტორში №0299, ნუგზარ ხიჯაკაძე

